სსკგ-ის თავმჯდომარე გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე სიტყვით გამოვიდა

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 01.18.2023. 2023 წლის 17 იანვარს, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ანტონი დისტანციურ ფორმატში სიტყვით გამოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხდომაზე, რომელიც უკრაინაში უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობას მიეძღვნა.

თავის ათწუთიანი გამოსვლაში მიტროპოლიტმა ანტონიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია თავს მოვალედ თვლის, მონაწილეობა მიიღოს მორწმუნეთა უფლებების დაცვაში მთელს მსოფლიოში, როგორც დამოუკიდებლად, ისე სხვა ადგილობრივ მართლმადიდებელ

ეკლესიებთან და უცხო რელიგიურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

მიუთითა რა ეკლესიის მაღალ სამშვიდობო პოტენციალზე სახელმწიფოთაშორისო და სამოქალაქო კონფლიქტებში, სსკგ-ის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დღეს ამ პოტენციალს ძირი ეთხრება უკრაინის ხელისუფლების მცდელობებით, გაანადგუროს მრავალმილიონიანი უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია – ყველაზე მსხვილი რელიგიური ორგანიზაცია უკრაინაში.

მიტროპოლიტმა ანტონიმ ისაუბრა უკრაინის ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის საბჭოს უახლესი გადაწყვეტილებების შინაარსზე, რომელიც ძალაში შევიდა პრეზიდენტ ვ. ზელენსკის ბრძანებულებებით და მოიცავს მთელ რიგ ზომებს, რომლებიც ლახავს უკრაინის მართლმადიდებლური სამრევლოების უფლებებს.
კერძოდ, უკრაინის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის თოთხმეტ ეპისკოპოსს ე.წ. „სანქციები“ დაუწესდა, ხოლო მის რამდენიმე მწყემსთმთავარს უკრაინის მოქალაქეობა ჩამოერთვა.

სსკგ-ის თავმჯდომარემ გაიხსენა, რომ უკრაინის მოქალაქეობის ჩამორთმევა პირდაპირ ეწინააღმდეგება უკრაინის კონსტიტუციას და მის მიერ ხელმოწერილ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, კერძოდ, 1961 წლის „კონვენციას მოქალაქეობის არმქონეობის შემცირების შესახებ “. მან აღნიშნა, რომ გადაწყვეტილებები „სანქციების“ დაწესების და მოქალაქეობის ჩამორთმევის შესახებ, პირთა ვიწრო ჯგუფის მიერ მიიღება უკანონო სასამართლო-საგამოძიებო პროცედურისა და პროტესტის შესაძლებლობის არარსებობის პირობებში მხოლოდ ერთ რელიგიურ ორგანიზაციასთან მიმართებით და წარმოადგენს „მასობრივი პოლიტიკური რეპრესიების ფორმას". უფრო მეტიც, ეს გადაწყვეტილებები ზღუდავს „სწორედ იმ კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომელთა შეზღუდვასაც, საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს, პირდაპირ კრძალავს უკრაინის კონსტიტუციის 64-ე მუხლი“.

შეადარა რა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობა საბჭოთა კავშირში ათეისტური დევნის წლებს, მიტროპოლიტმა ანტონიმ ისაუბრა უკრაინის სპეცსამსახურების მიერ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიალურ ადმინისტრაციებში, მონასტრებსა და სამრევლოებში განხორციელებულ მასობრივ ჩხრეკაზე და სასულიერო პირების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეების აღძვრაზე გამოგონილი საბაბით.

სსკგ-ის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ უკრაინაში მართლმადიდებელი ეპისკოპატის წინააღმდეგ წარმოებული რეპრესიები გახდა უკრაინის ხელისუფლების თანმიმდევრული პოლიტიკის კულმინაცია, რომელიც მიმართულია საზოგადოების რელიგიურ ცხოვრებაზე ტოტალური კონტროლის დაწესებისკენ. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა ე.წ. „მართლმადიდებელი ეკლესია უკრაინის“ სახელმწიფო აპარატისა და სპეცსამსახურების მონაწილეობით, ხოლო უკრაინის ხელისუფლების შემდგომი ძალისხმევა მიმართულია უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის სამრევლოების იძულებით გაწევრიანებისკენ ახლად შექმნილი ორგანიზაციაში.

მიტროპოლიტმა ანტონიმ სხდომის მონაწილეებს მოახსენა უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის ტაძრების მიტაცებების ფაქტობრივად ლეგალიზებული მექანიზმის შესახებ; სახელმწიფოს მცდელობაზე, ჩამოართვას მას ისტორიული სახელი. ასევე, უმაღლეს რადაში რეგისტრირებული კიდევ შვიდი კანონპროექტის თაობაზე, რომელთა მიზანია უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის თემებისა და მორწმუნეების უფლებების შელახვა, ტაძრების ჩამორთმევა და მისი საქმიანობის სრული აკრძალვა უკრაინის ტერიტორიაზე.

სსკგ-ის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა „უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ აღვირახსნილ ცილისმწამებლურ კამპანიაზე მისი საქმიანობის სრული აკრძალვის და მისი წარმომადგენლების მიმართ ზეწოლისა და ძალადობის გამოყენების მოწოდებით, რაც სიძულვილის ენის აშკარა ნიშნებს ატარებს“. სწორედ ამან გამოიწვია ძალადობის ტალღა უკრაინაში კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის სამღვდელოებისა და სამრევლოების წინააღმდეგ.

თავისი გამოსვლის დასასრულს, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ანტონიმ მოუწოდა გაეროს და უშიშროების საბჭოს წევრებს, ყურადღება მიაქციონ „უკრაინის სახელმწიფო ხელისუფლების უკანონო ქმედებებს ქვეყნის უდიდეს კონფესიასთან მიმართებით და მორწმუნეთა უფლებების დარღვევის მრავალრიცხოვან ფაქტს“, რომლებიც გარანტირებულია გაეროს წესდებით და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებითა და დეკლარაციებით.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89955/